

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შ.პ.ს. ბეტა 2 (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2008 წლის 7 აპრილი. ს.ნ 211352702

კომპანიის დამფუძნებელი:რაჟდენ შუშანია პ.ნ. 01009004419

კომპანიის დირექტორი: რაჟდენ შუშანია პ.ნ. 01009004419

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 4-ე კვარტალი, კორპუსი 19

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1025000 ლარს

1.2 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საბითუმო და საცალო ვაჭრობა სამედიცინო საქონლით

1.3 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

1.4 არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5 საწარმოს არ გააჩნია ფილიალები.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

2.2 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება.

2.3 კომპანია წინა საანგარიშგო პერიოდში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.5 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

2.6 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეული იქნა.

2.7 მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

2.8 კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

2.9 მიღებული დივიდენდი კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, ხოლო გაცემული დივიდენდები, როგორც ფინანსური ოპერაციები.

2.10 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ბარტერიტა და უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

2.11 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით:

- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

2.12 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს, საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

2.13 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

2.14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

2.15 სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

2.16 ბანკის სესხები საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

შენიშვნა 1

ამონაგები	2023	2024
შემოსავალი რეალიზაციიდან	924080	1006398
ფინანსური შემოსავალი	44832	24588
შემოსავალი საოფისე შენობის გაყიდვიდან		2302623
სულ:	968912	3333609

კომპანიის ამონაგებს საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს სამედიცინო საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული შემოსავლები და თბილისი, ყაზბეგის 34დ-ში მდებარე საოფისე შენობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

შენიშვნა 2

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2024
შრომის ანაზღაურება	279653	290386
საპენსიო დანარიცხები	5712	5967
ფინანსური ხარჯი	51208	77375
ცვეთა და ამორტიზაცია	73621	72254
საბანკო ხარჯები (პროცენტებით)	20130	23287
სხვა ხარჯები	997163	2039276
სულ:	1427487	2508545

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

	შენობა	მიწა	ავეჯი	კომპ.ტექ.	ტრანსპ.	ელ.მოწყ	სხვა	სულ	
01,01,2023	1696266	110400	45556	42426	97233	23622	8258	2023761	
დამატება	0	0	2011	5070	27394	400	4062	38937	
გასვლა	39448	0	9938	12031	26565	6397	1141	95520	
01,01,2024	1656818	110400	37629	35465	98062	17625	11179	1967178	
დამატება		0	8638			2279		10917	
გასვლა	1079046	110400	5736	10266	16701	5282	812	1228243	
31,12,2024	577772	0	40531	25199	81361	14622	10367	749852	

2024 წლის დეკემბრის თვეში შ.პ.ს. „ბეტა 2“-ის მიერ გაყიდულ იქნა მის საკუთრებაში არსებული საოფისე შენობა მასზე მიმაგრებული მიწის ფართით (თბილისი, ყაზბეგის 34დ) შ.პ.ს. „მეცნიერება“-ზე (ს/კ 405335098)

შენიშვნა 4

ფული და ფულის ექვივალენტები	2024	2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2462,09	6052,36
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1118364,74	13608,29
აშშ დოლარი რეზიდენტ ბანკში	392971,17	9,23
ევრო	163264,6	771,2
დიდი ბრიტანეთის ფუნტი სტერლინგი	4,33	4,21
ჩინური იუანი	28838,17	1890,81
სულ:	1705905,1	22336,1

2024 წლის დეკემბრის თვეში შ.პ.ს. „ბეტა 2“-ის მიერ გაყიდულ იქნა მის საკუთრებაში არსებული საოფისე შენობა მასზე მიმაგრებული მიწის ფართით (თბილისი, ყაზბეგის 34დ) შ.პ.ს. „მეცნიერება“-ზე (ს/კ 405335098), რამაც გამოწვია ფულადი სახსრების სიდიდე ფირმის საბანკო ანგარიშებზე.

შენიშვნა 5

მარაგები	2024	2023
საქონელი	337402	664674
სულ:	337402	664674

შენიშვნა 6

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულების (417048 ლარი) წარმოშობა გამოწვეულია შენობის გაყიდვიდან გადასახდელ დღგ-ზე დარიცხვამ, რომელის გადახდილიქნა 2025 წლის იანვრის თვეში.

შენიშვნა 7

საწესდებო კაპიტალში ცვლილება გამოწვეულია დამფუძნებლის მიერ შეტანილი 200000 ლარით.

შ.პ.ს. „ბეტა2“-ის დირექტორი



რ.შუმანია

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ლარი)			
	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები:			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები		1705905	22336
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1235778	107111
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		337402	644674
სხვა მიმდინარე აქტივები		8527	8211
სულ მიმდინარე აქტივები		3287612	782332
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		737977	1967178
არამატერიალური აქტივები		10367	11171
ბიოლოგიური აქტივი		508	508
სულ გრძელვადიანი აქტივები		749852	1978857
სულ აქტივები		4037464	2761189
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი:			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ბანკის ოვერდრაფტი			
სავაჭრო ვალდებულებები		12111	1322
სხვა ვალდებულებები			
გადასახდელი პროცენტები			
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		417048	2486
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებისთვის			
დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი			
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		429159	3808
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი		0	174140
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	174140
სულ ვალდებულებები		429159	177948
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი			

საწესდებო კაპიტალი		1025000	825000
გადაფასების რეზერვი		1683138	1683138
გაუნაწილებელი მოგება		900167	75103
სულ საკუთარი კაპიტალი		3608305	2583241
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4037464	2761189

შ.პ.ს. „ბეტა2“-ის დირექტორი



რ.შუმანია

შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგება-ზარალის ანგარიშგება

(ლარი)

	შენიშვნები	საანგარიშო პერიოდი 2024 წელი	შესადარისი პერიოდი 2023 წელი
ამონაგები		1006398	924080
რეალიზებული პროდუქციის/ მომსახურების თვითღირებულება		-783237	-831132
საერთო მოგება		223161	92948
სხვა შემოსავალი		2302623	
კომერციული დანახარჯები			
ადმინისტრაციული ხარჯები		-290386	-279653
სხვა საოპერაციო ხარჯები		-139404	-265494
საოპერაციო მოგება		2095994	-452199
არასაოპერაციო შემოსავალი			
არასაოპერაციო ხარჯები		-1218143	
ფინანსური შემოსავალი		24588	44832
ფინანსური ხარჯი		-77375	-51208
მოგება დაბეგვრამდე		825064	-458575
მოგების გადასახადის ხარჯი			
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		825064	-458575
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		75103	533678
მოგების განაწილება დივიდენდის სახით			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		900167	75103

შ.პ.ს. „ბეტა 2“

დირექტორი



რ. ბუჩუკია

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარი)				
	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	გაუნაწილებ ელი მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	825000	1683138	533678	3041816
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			-458575	-458575
გაცემული დივიდენდი				
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	825000	1683138	75103	2583241
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	200000		825064	1025064
გაცემული დივიდენდი				
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1025000	1683138	900167	3608305

შ.პ.ს. „ბეტა2“-ი

დირექტორი



რ.შუშანია